საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1533 2016 წლის 28 ივლისი ქ. თბილისი

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, მიმდინარე წლის 12-13 ივლისის წერილებით, წარმოადგინა წინადადებები მუნიციპალიტეტებში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად 7 296 521 (შვიდი მილიონ ორას ოთხმოცდათექვსმეტი ათას ხუთას ოცდაერთი) ლარის გამოყოფის თაობაზე.

2. 2015-2016 წლებში სხვადასხვა სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების განსახორციელებლად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მუნიციპალიტეტებს გამოუყოს 4 894 400 (ოთხი მილიონ რვაას ოთხმოცდათოთხმეტი ათას ოთხასი) ლარი, კერძოდ:

ა) საჩხერის მუნიციპალიტეტს 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარი;

ბ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს 902 600 (ცხრაას ორი ათას ექვსასი) ლარი;

გ) ცაგერის მუნიციპალიტეტს 874 100 (რვაას სამოცდათოთხმეტი ათას ასი) ლარი;

დ) ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს 800 000 (რვაასი ათასი) ლარი;

ე) მესტიის მუნიციპალიტეტს 663 400 (ექვსას სამოცდასამი ათას ოთხასი) ლარი;

ვ) დუშეთის მუნიციპალიტეტს 449 400 (ოთხას ორმოცდაცხრა ათას ოთხასი) ლარი;

ზ) ხარაგაულის მუნიციპალიტეტს 204 900 (ორას ოთხი ათას ცხრაასი) ლარი.

3. ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული თანხის ფარგლებში, მუნიციპალიტეტებმა უზრუნველყონ სტიქიის შედეგად დაზიანებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, ხიდების (მათ შორის, სახიდე გადასასვლელების), ხიდ-ბოგირების, წყალგამტარი მილების, სანიაღვრე არხების და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენითი სამუშაოებისა და მასთან დაკავშირებული საქონლისა და მომსახურებების შესყიდვა.

4. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის 3^1 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ოზურგეთის, საჩხერისა და მესტიის მუნიციპალიტეტებმა ამ განკარგულებით გათვალისწინებულ ღონისძიებებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვები განახორციელონ გამარტივებული ელექტრონული ტენდერების მეშვეობით.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**